ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

განკარგულება:**გ-17. 17231452**
თარიღი:**25/05/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის სოფლის წყალი“-ს დირექტორის ანგარიში 2022 წელს განხორციელებული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ბორჯომის სოფლის წყალი“-ს დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა N60ᵃ)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ „ბორჯომის სოფლის წყალი“
N(N)LE "WATER OF BORJOMI VILLAGE"

წერილის ნომერი: **13-162314377**
თარიღი: **23/05/2023**

ადრესატი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ. N5

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით ზაალიშვილს

ა(ა)იპ ,,ბორჯომის სოფლის წყალის“

დირექტორის გიორგი ოქროაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ა(ა)იპ ,,ბორჯომის სოფლის წყალში“ 2023 წლის 10 მაისს შემოსული №11-162313030-16 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობას წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული 26 სოფელის სასმელი წყლის ქსელის მოვლა-პატრონობა.სულ ა(ა)იპ ,,ბორჯომის სოფლის წყალის“ სამსახურს 2022 წლის ფისკალური გეგმით დამტკიცებული აქვს 593000 ლარი. აღნიშნულ წელს სამსახურში მუშაობდა 54 ადამიანი, სახელფასო ფონდმა შეადგინა 364815 ლარი. მუხლში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა“ 218985 ლარი, არაფინანსური აქტივი- 9200 ლარი.

2022 წლის მანძილზე ჩვენმა სამსახურმა ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შეისყიდა სამუშაო მასალები.კერძოდ:

1.სხვადასხვა სახის ქუროები და გადასაბმელები - 52443 ლარი

2.კუაგულიანტი - 4230 ლარი

3.კალციუმის ჰიპოქლორიტი(კირიანი ქლორი) და კალციუმის კარბიდი- 47790 ლარი

4. სხვადასხვა დიამეტრის მილები და ცემენტი - 30151 ლარი

5.ჟანგბადი - 1625 ლარი

და განახორციელა შემდეგი სახის სამუშაოები:

1. შეიცვალა 1720 ცალი სხვადასხვა სახის და ზომის მილის გადასაბმელი ქურო, უნაგირი, გადამყვანი

2. შეიცვალა ვინტილი, ურდული, სარქველი -41 ცალი;

3. შეკეთდა სათავეები და სალექრები - გაიხარჯა 120 ტომარა ცემენტი (50კგ);

4. მილების შესადუღებლად გავხარჯეთ ჟანგბადი 65 ბალონი და კარბიდი 150 კგ;

5. სათავეების და ქსელის დეზინფექციისთვის გავხარჯეთ 8000 კგ კალციუმის ჰიპოქლორიტი (კირიანი ქლორი);

6.დაზიანებული უბნების აღმოსაფხვრელად გავხარჯეთ სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის მილი 5320 მ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების წყლის მაგისტრალის კაპიტალური სამუშაოები:

1.დ-32 მმ მილი გამოვიყენეთ შემდეგ სოფლებში: 600 მეტრი ცემში, 80 მ მზეთამზეში, 58 მეტრი ვარდგინეთში, 62 მ სხვადასხვა სოფელში დაზიანებების აღმოსაფხვრელად;

2.დ-40 მმ მილი გამოვიყენეთ შემდეგ სოფლებში: 180 მ საკირეში, 280 მ ტიმოთეში, 330 მ კორტანეთში და 10 მ სხვადასხვა სოფელში დაზიანებების აღმოსაფხვრელად;

3.დ-50 მმ მილი გამოვიყენეთ შემდეგ სოფლებში: 300 მ მილი ტიმოთესუბანში, 160 მ ყვიბიში; 300 მ საკირეში; 200 მ დვირში და 40 მ ტბაზე;

4.დ-63 მმ მილი გამოვიყენეთ შემდეგ სოფლებში: 120 მ ბეშეთში, 220 მ -ბალანთაში, 150 მ ჭობისხევში, 360 მ დაბაძველში, 100 მ ვარდგინეთში, 200 მ სხვადასხვა სოფელში დაზიანებების აღმოსაფხვრელად;

5.დ-90 მმ მილი გამოვიყენეთ შემდეგ სოფლებში: 120 მ ჭობისხევში, 400 მ საკირეში, 280 მ დგვარში;

6.დ-110 მმ მილი გამოვიყენეთ შემდეგ სოფლებში: 140 მ ყვიბისში, 120 მ დგვარში, 60 მ ტბაზე, 80 მ ტაძრისი;.

გიორგი ოქროაშვილი

ა(ა)იპ „ბორჯომის სოფლის წყალი“-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი